ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

**მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა**

თარიღი: 28 ნოემბერი, 2019 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
2. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
3. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
4. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციცია
5. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
6. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
7. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
8. გიორგი ძამუკაშვილი - ფონდი ადგილის დედა

განსახილველი საკითხები:

1. WEG გაგაცნობთ ინფორმაციას საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს და USAID-ის მიერ ენერგეტიკის შეფასების წინასწარი შედეგების შესახებ.

2. კიევში ჩატარებული ასოცირების ურთიერთგაცვლის მესამე ფორუმის შესახებ ინფორმაცია.
3. მოკლედ მოვიხილავთ წლის კანონის.
4. სხვა საკითხები

მესამე სამუშაო ჯგუფის  შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, მურმან მარგველაშვილმა. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრეს მომავალი წლის  გამოწვევებზე. კოორდინატორმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებამ მოახერხოს მთავრობასთან და პარლამენტთან კონკრეტული ამოცანებისა და პრობლემების დასმა. თუ მოხდება  ამოცანების სწორად დასმა, მაშინ მომდევნო ნაბიჯების განსაზღვრა, პოლიტიკების შემუშავება და კოორდინირება მიგვიყვანს ხელშესახებ შედეგებამდე.

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განიხილეს, მიმართვის ტექსტი, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვენ  სამთავრობო კლიმატური საკოორდინაციო  კომიტეტის ჩამოყალიბებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კლიმატური საკითხების გათვალისწინება სექტორულ და ინტერსექტორულ პოლიტიკებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ მიმართვასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის წევრებს, ჯგუფის შეხვედრაზე, ჰქონდათ კონკრეტული წინადადებები, რომელთა მიხედვითაც მოხდება აღნიშნული მიმართვის ჩასწორება და შემდეგ გავრცელება.

მურმან მარგველაშვილმა ისაუბრა ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელებული ენერგეტიკული პროექტის შესახებ. ასევე მან მიაწოდა ინფორმაცია დამსწრე საზოგადოებას საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს და USAID-ის მიერ ენერგეტიკის შეფასების წინასწარი შედეგების შესახებ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესწავლილი და განხილული იქნა ენერგეტიკული სექტორის პრობლემები. სიღრმისეულად მოხდა პრობლემური საკითხების გაანალიზება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა 4 ძირითადი პრობლემური საკითხი, ესენია:

1. ქვეყანას არ აქვს სტრატეგიული ხედვა
2. გამჭვირვალეობისა და კარგი მმართველობის პრობლემა
3. ინსტიტუციური სისუსტე
4. კვლევების არარსებობა

მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებმა ჩამოაყალიბეს ჯგუფის მოქმედების ამოცანები და შესაბამისი აქტივობების ჩამონათვალი, რომელიც გადაეგზავნებათ მესამე სამუშაო ჯგუფის წევრებს რათა დეტალურად გაეცნონ და დაამატონ თავიანთი მოსაზრებები. ამის შემდეგ მოხდება სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

სამუშაო ჯგუფი, უახლოეს მომავალში, ჩამოაყალიბებს და დაამტკიცებს სამოქმედო გეგმას.

მესამე სამუშაო ჯგუფის წინა შეხვედრაზე, ჯგუფის შეხვედრების ეფექტურობისთვის, შემუშავდა და დამტკიცდა ჯგუფის შეხვედრების ფორმატი. შეგახსენებთ, რომ ჯგუფის შეხვედრები ჩატარდება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს, შეხვედრის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2 საათით. შეხვედრა დაიწყება 16:00 საათზე.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრამდე, გაიმართა სექტორული შეხვედრა გარემოს დაცვით საკითხებზე, სადაც ასევე ისაუბრეს და განიხილეს წყლის კანონი. წყლის კანონი განიხილა აკაკი ფანჩულიძემ. იგი, უახლოეს მომავალში, გაუზიარებს ჯგუფის წევრებს მოკლე შეჯამებას წყლის კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელშიც ყურადღება იქნებოდა გამახვილებული საადვოკატორო საკითხებზე.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე